2019 წლის პროგრამა „სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით“

ქვეპროგრამის „მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები:

- სასოფლო-სამეურნეო კოოპეტარატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირები, რომელთა ბალანსზე ირიცხება სასოფლო-სამეურნეო სავარული, რომელზეც განზრახული აქვთ სასოფლო-სამეურნეო კულტურის ბაღის გაშენება და აღნიშნული სავარგული აკმაყოფილებს მოთხოვნილი კულტურისათვის აუცილებელ ნიადაგურ და ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს.
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს ან/და კოოპერატივის წევრს საკუთრებაში ან/და კოოპერატივის წევრს ფაქტობრივ სარგებლობაში ან/და იჯარით აღებული აქვს სასოფლო-სამეურნეო სავარგული, რომელზეც განზრახული აქვთ სასოფლო-სამეურნეო კულტურის ბაღის გაშენება და აღნიშნული სავარგული აკმაყოფილებს მოთხოვნილი კულტურისათვის აუცილებელ ნიადაგურ და ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს.
- ფიზიკური პირებს, რომელსაც საკუთრებაში ან/და ფაქტობრივ სარგებლობაში (ამ შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს ცნობა არქივიდან საადგილმამულო წიგნში კომლზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შესახებ) ან/და იჯარით აღებული აქვს სასოფლო-სამეურნეო სავარგული, რომელზეც განზრახული აქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურის ბაღის გაშენება და აღნიშნული სავარგული აკმაყოფილებს მოთხოვნილი კულტურისათვის აუცილებელ ნიადაგურ და ბუნებრივ-კლიმატურ პირობებს.

ცალკეული კულტურებისათვის განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფართობის ზღვრული ნორმები:

- **კაკლის** კულტურისათვის - ა) 0.1 ჰექტარიდან 1 ჰექტარის ჩათვლით - ფიზიკური პირებისათის და ბ) 0.3 ჰექტარიდან 1 ჰექტარის ჩათვლით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისათვის;
- **მოცვის** კულტურისათვის - ა) 0.1 ჰექტარიდან 0.5 ჰექტარის ჩათვლით - ფიზიკური პირებისათის და ბ) 0.2 ჰექტარიდან 1 ჰექტარის ჩათვლით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისათვის;
- **ჟოლოს** კულტურისათვის - ა) 0.05 ჰექტარიდან 0.15 ჰექტარის ჩათვლით - ფიზიკური პირებისათის და ბ) 0.2 ჰექტარიდან 0.3 ჰექტარის ჩათვლით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისათვის;
- **ვაზის** კულტურისათვის - ა) 0.05 ჰექტარიდან 0.2 ჰექტარის ჩათვლით - ფიზიკური პირებისათის და ბ) 0.2 ჰექტარიდან 1 ჰექტარის ჩათვლით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისათვის;
- **კივის (აქტინიდია)** კულტურისათვის - ა) 0.05 ჰექტარიდან 0.2 ჰექტარის ჩათვლით - ფიზიკური პირებისათის და ბ) 0.2 ჰექტარიდან 1 ჰექტარის ჩათვლით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისათვის;
- **საადრეო მანდარინის** კულტურისათვის - ა) 0.1 ჰექტარიდან 1 ჰექტარის ჩათვლით - ფიზიკური პირებისათის და ბ) 0.5 ჰექტარიდან 1 ჰექტარის ჩათვლით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისათვის.
- **სხვა მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო** კულტურისათვის - ა) 0.05 ჰექტარიდან 0.1 ჰექტარის ჩათვლით - ფიზიკური პირებისათის და ბ) 0.2 ჰექტარიდან 1 ჰექტარის ჩათვლით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისათვის;

ქვეპროგრამის „სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ ფარგლებში მოტოკულტივატორების მსურველ ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები:

- სტატუსის მქონე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათ შორის უპირატესი უფლებით სარგებლობს, რომელსაც საკუთრებაში ან სარგებლობაში აქვს უფრო მეტი სასოფლო - სამეურნეო სავარგული, მათ შორის დასამუშავებელი ფართობი;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრი ფიზიკური პირი, მათ შორის უპირატესი უფლებით სარგებლობს, რომელსაც საკუთრებაში ან სარგებლობაში აქვს უფრო მეტი სასოფლო - სამეურნეო სავარგული, მათ შორის დასამუშავებელი ფართობი. ამასთან, ამ შემთხვევაში დადასტურებული უნდა იყოს პირის სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივის წევრობა;
- ფიზიკური პირი მათ შორის უპირატესი უფლებით სარგებლობს, რომელსაც საკუთრებაში ან სარგებლობაში აქვს უფრო მეტი სასოფლო სამეურნეო მიწის ფართობი, მათ შორის დასამუშავებელი ფართობი;
- ბენეფიციართა შერჩევისას გასათვალისწინებელია მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით შემოსული განაცხადების თანაფარდობის პრინციპი, ამასთანავე მუნიციპალიტეტების სპეციფიკური თავისებურებებიც;
- ქვეპროგრამით სარგებლობაზე უარი ეთქმება პირს, რომელსაც ქვეპროგრამის ფარგლებში მიღებული აქვს ანალოგიური ტექნიკური საშუალებები.

ქვეპროგრამის „სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ ფარგლებში მოტობლოკი სათიბელას კომპლექტაციით მსურველ ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები:

- სტატუსის მქონე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი (მათ შორის უპირატესი უფლებით სარგებლობს ის კოოპერატივი რომელთა წევრთა საქმიანობის მიმართულებაა მეცხოველეობა ან/და მეცხოველეობის საკვებწარმოება და საკუთრებაში ან სარგებლობაში აქვთ უფრო მეტი სათიბი სავარგული)
- ფიზიკური პირი (მათ შორის უპირატესი უფლებით სარგებლობს, რომელსაც საკუთრებაში ან სარგებლობაში აქვს უფრო მეტი სათიბი ფართობი და მისი საქმიანობის ძირითადი სფეროა მეცხოველეობა)
- ბენეფიციართა შერჩევისას გასათვალისწინებელია მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით სათიბი ფართიბების შესაბამისად შემოსული განაცხადების თანაფარდობის პრინციპი, ამასთანავე მუნიციპალიტეტების სპეციფიკური თავისებურებებიც;
- ქვეპროგრამით სარგებლობაზე უარი ეთქმება პირს, რომელსაც ქვეპროგრამის ფარგლებში მიღებული აქვს ანალოგიური ტექნიკური საშუალებები.

ქვეპროგრამის „მცირე გადამამუშავებელი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის“ ფარგლებში თხილის სარჩევი აპარატის მსურველ ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები:

- სტატუსის მქონე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათ შორის უპირატესი უფლებით სარგებლობს, რომელსაც საკუთრებაში ან სარგებლობაში აქვს უფრო მეტი თხილის ბაღი;
- ფიზიკური პირთა ჯგუფს, მათ შორის უპირატესი უფლებით სარგებლობს ის ჯგუფი, რომელსაც საკუთრებაში ან სარგებლობაში გაშენებული აქვს უფრო მეტი თხილის ბაღი;

- ფიზიკური პირი, მათ შორის უპირატესი უფლებით სარგებლობს, რომელსაც საკუთრებაში ან სარგებლობაში გაშენებული აქვს უფრო მეტი თხილის ბაღი;
- ბენეფიციართა შერჩევისას გასათვალისწინებელია მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით შემოსული განაცხადების თანაფარდობის პრინციპი;
- ქვეპროგრამით სარგებლობაზე უარი ეთქმება პირს, რომელსაც ქვეპროგრამის ფარგლებში მიღებული აქვს ანალოგიური ტექნიკური საშუალებები.

ქვეპროგრამის „მცირე გადამამუშავებელი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის“ ფარგლებში რძის გადამამუშავებელი სეპარატორის მსურველ ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები:

- მეცხოველეობის მიმართულების სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი (მათ შორის უპირატესი უფლებით სარგებლობს, რომელსაც საკუთრებაში საერთო სულადობიდან ჰყავს უფრო მეტი ფური/ფურკამეჩი);
- ფიზიკური პირი (მათ შორის უპირატესი უფლებით სარგებლობს, რომელსაც საკუთრებაში საერთო სულადობიდან ჰყავს უფრო მეტი ფური/ფურკამეჩი);
- ბენეფიციართა შერჩევისას ასევე გათვალისწინებული იქნება ის დასახლებული პუნქტები (სოფლები), რომელთაც აღნიშნული პროგრამით არ უსარგებლიათ;
- ქვეპროგრამით სარგებლობაზე უარი ეთქვას პირს, რომელსაც სამინისტროს პროგრამებით მიღებული აქვს ანალოგიური ტიპის ტექნიკური საშუალება.

ქვეპროგრამის „მცირე გადამამუშავებელი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის“ ფარგლებში ფიჭის ასათლელი ელექტრონული მოწყობილობის მსურველ ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები:

- მეფუტკრეობის მიმართულების სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი (მათ შორის უპირატესი უფლებით სარგებლობს, რომელსაც საკუთრებაში ჰყავს უფრო მეტი ფუტკრის ოჯახი);
- ფიზიკური პირი (მათ შორის უპირატესი უფლებით სარგებლობს, რომელსაც საკუთრებაში ჰყავს უფრო მეტი ფუტკრის ოჯახი);
- ბენეფიციართა შერჩევისას ასევე გათვალისწინებული იქნება ის დასახლებული პუნქტები (სოფლები), რომელთაც აღნიშნული პროგრამით არ უსარგებლიათ;
- ქვეპროგრამით სარგებლობაზე უარი ეთქვას პირს, რომელსაც სამინისტროს პროგრამებით მიღებული აქვს ანალოგიური ტიპის ტექნიკური საშუალება.

2020 წლის პროგრამა „სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის გზით“

ქვეპროგრამის „სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“ ფარგლებში ბაღის მობილური შემასხურებელი აპარატის მსურველ ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები:

- სტატუსის მქონე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი (მათ შორის უპირატესი უფლებით სარგებლობს, რომელსაც საკუთრებაში ან სარგებლობაში აქვს უფრო მეტი სასოფლო - სამეურნეო სავარგული, მათ შორის მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები)
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრი ფიზიკური პირი (მათ შორის უპირატესი უფლებით სარგებლობს, რომელსაც საკუთრებაში ან სარგებლობაში აქვს უფრო მეტი სასოფლო - სამეურნეო სავარგული, მათ შორის მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო

კულტურები. ამასთან, ამ შემთხვევაში დადასტურებული უნდა იყოს პირის სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივის წევრობა);

- ფიზიკური პირი (მათ შორის უპირატესი უფლებით სარგებლობს, რომელსაც საკუთრებაში ან სარგებლობაში აქვს უფრო მეტი სასოფლო სამეურნეო მიწის ფართობი, მათ შორის მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები)
- ბენეფიციართა შერჩევისას გასათვალისწინებელია მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით შემოსული განაცხადების თანაფარდობის პრინციპი, ამასთანავე მუნიციპალიტეტების სპეციფიკური თავისებურებებიც;
- ქვეპროგრამით სარგებლობაზე უარი ეთქმება პირს, რომელსაც ქვეპროგრამის ფარგლებში მიღებული აქვს ანალოგიური ტექნიკური საშუალებები.

ქვეპროგრამის „მცირე გადამამუშავებელი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის“ ფარგლებში ავტოკლავ - სტერილიზატორის მსურველ ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები:

- სტატუსის მქონე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი (მათ შორის უპირატესი უფლებით სარგებლობს, რომლებიც აწარმოებს დიდი რაოდენობით სასაოფლო-სამეურნეო კულტურებს)
- ფიზიკური პირი (მათ შორის უპირატესი უფლებით სარგებლობს, რომლებიც აწარმოებს დიდი რაოდენობით სასაოფლო-სამეურნეო კულტურებს)
- ბენეფიციართა შერჩევისას გასათვალისწინებელია მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით შემოსული განაცხადების თანაფარდობის პრინციპი, ამასთანავე მუნიციპალიტეტების სპეციფიკური თავისებურებებიც;